"ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ"
ქარელის მუნიციპალიტეტეის სასპორტო დაწესებულებების გაერთიანების მმართველი: /გ.ბერუაშვილი/

"შეთანხმებულია"
საქართველოს ძიუდოს ფედერაციის გენ.მდივანი /გ.ათაბეგაშვილი/

# დ ე ბ უ ლ ე ბ ა

მსოფლიოს ჩემპიონის მალხაზ ბერუაშვილის სახელობის საერთაშორისო ტურნირის ჭიდაობა ძიუდოში ახალგაზრდებს (1998 - 2000 წ.დ) შორის

## შეჯიბრების ჩატარების მიზანი და ამოცანები

---

1.ძიუდოს პოპულარიზაცია ქარელის მუნიციპალიტეტში
2.ნიჭიერი-პერსპექტიული მოჭიდავეების გამოვლინება

## შეჯიბრების ჩატარების დრო და ადგილი

---

შეჯიბრება ჩატარდება 2018 წლის 16-17-თებერვალს ქარელის სასპორტო სკოლის დარბაზში (მდებარე ქ.ქარელი ყაზბეგის ქ №92, ) აწონვა 16-თებერვალს საღამოს 17.00 საათზე , 17-თებერვალს 9.00 საათიდან 10.00 –მდე, შეჯიბრების დასაწყისი 17 თებერვალს დღის 11 საათზე

## მიღების პირობები

---

შეჯიბრების ხარჯებს გზა, კვება ,მგზავრობა ,სასტუმრო ,სასტარტო შესატანი ( 10(ათი) ლარს ) უზრუნველყოფს მიმავლინებელი ორგანიზაცია. სასტარტო თანხა ჩაირიცხული იქნას ხაზინის შემდეგ კოდზე - 749347519

შეჯიბრებაზე მონაწილე სპორტსმენები სურათიანი საბუთის და დაბადების მოწმობის ასლის გარეშე შეჯიბრზე არ დაიშვებიან

## შეჯიბრების ჩატარების ხელმძღვანელობა

---

შეჯიბრების ჩატარებას ხელმძღვანელობს საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაცია და ქარელის მუნიციპალიტეტის სასპორტო დაწესებულებათა გაერთიანება და მათ მიერ დამტკიცებული მსაჯთა კოლეგია ( შეჯიბრებას მოემსახურება საქართველოს ძიუდოს ფედერაციიდან მოწვეული მსაჯები ) შეჯიბრების მთავარი მსაჯია გიორგი ბერუაშვილი , მდივანი კობა ბუზიაშვილი

## შეჯიბრების ჩატარების სისტემა

---

შეჯიბრება ჩატარდება ძიუდოს საერთაშორისო მოქმედი წესების შესაბამისად შემდეგ წონით კატეგორიებში: 55,60,66,73,81,90,100, +100, დაშვება 1 კგ

## შეჯიბრების ჩატარების ხარჯები

---

შეჯიბრების ჩატარების ხარჯებს გაიღებს ქარელის მუნიციპალიტეტის სასპორტო დაწესებულებების გაერთიანება

## დ ა ჯ ი ლ დ ო ე ბ ა

---

წონით კატეგორიებში გამარჯვებულებსა და პრიზიორებს გადაეცემათ შესაბამისი დიპლომები თასები და მედლები, ხოლო მსაჯებზე გაიცემა ადგილზე მსაჯობისათვის ანაზღაურება

შენიშვნა:

1. წინამდებარე დებულება ითვლება ოფიციალურ გამოძახებად შეჯიბრებაში მონაწილეობის მსურველი გუნდებისათვის

საკონტაქტო ტელეფონი: 595 74-82-71, 577 21-73 -83